№ 192 მთავრობის მოამგე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, აგვისტოს 26 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხ. დებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20·% რედაციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—89.

ტფილისის პოლიტექნიკური სასწავლებელი

იღებს თხოვნებს მექანიურ—წმინდა მექანიურ და ელექტრო-მექანიურ და საამშენებლო—გზათა საამშენებლო და სახუროთმოძღვრო განყოფილებებზე. თხოვნები მიიღება 1 ენკენისთვემდე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1) 4 კლასის ატესტატი, 2) მეტრიკული ამოწერილობა და 3) მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ.

მთხოვნელები უნდა გამოცხადდენ სასწავლებელში 13 ენკენისთვეს, დილის 9 საათზე. ტფილისი, დიდი მთავრის ქ., № 70. 2414 1—1

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

სახაზინო რკინისგზის დამატებითი მილიციის მოქმედების განგრძობისა.

1. განგრძობილ იქნეს სახაზინო რკინის გზის დამატებითი მილიციის მოქმედება ამა 1920 წლის ივნისის 1-დან დეკემბრის 1-დე თანახმად ამ დეკრეტთან დართული ნუსხისა აღნიშნული რკინის გზის დამატებითი მილიციის შტატისა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული რკინის გზის დამატებითი შტატის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის ივნისის 1-დან დეკემბრის 1-დე ორი მილიონი ორმოცდა ცხრამეტი ათას რვაასი (2.059.800) მანეთი.

20. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 13.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

ნუსხა.

თანამდებობა.	კატეგორია.	რიცხვი.	თვეში. ერთს.	თვეში. ყველას.	ექვს თვეში. ერთს.	ექვს თვეში. ყველას.
უმცროსი დარაჯნი	5	120	2570	308400	15420	1350400
უფროსი დარაჯნი	5	10	2690	26900	16140	161400
რევიზორი უფროსი	ადმ	1	4800	28800	28800	28800
გამწესებელი	ადმ	1	3200	3200	19200	19200
სულ	—	132	13260	343200	79560	2059800

1920 წ. აგვისტოს 13-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

კანონი

ქალ. ახალქალაქის ორმოცდაათ საწოლიანი საავადმყოფოსი და ახალქალაქის მაზრის სოფ. ბარალეთისა, ოკამოსა და გორელოვკის ამბულატორიების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ამასთანავე დართული შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა ქ. ახალქალაქის ორმოცდაათ საწოლიანი საავადმყოფოსი და ახალქალაქის მაზრის სოფ. ბარალეთისა, ოკამოსა და გორელოვკის ამბულატორიებისა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ ატრიცგვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე რვაას სამოცდა თვრამეტი ათას ექვსას ოთხმოცი (878.680) მანეთი.

3. პირველ მუხლში აღნიშნულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

შტატი და ხარჯთაღრიცხვა

ქალ. ახალქალაქის 50 საწოლიანი საავადმყოფოსი 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.

№№ რიგზე.	თანამდებობის და ხარჯის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვითეულს თვეში.	ყველას თვეში.	ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან. ივნისის 1-მდე.
1	ექიმი	2	6000	12000	60000*)
2	ფერშალი	2	4000	8000	40000
3	ფერშალი ბებია (ქალი)	1	4000	4000	20000
4	მოწყალების და	4	1000	4000	20000
5	ეკონომი	1	1200	1200	6000
6	სანიტარი	8	600	4800	24000
7	მრეცხავი	2	600	1200	6000
8	მზარეული	1	600	600	3000
9	დაბალი მოსამსახურე	1	600	600	3000
	ჯამი	22	18600	36400	182000

შენიშვნა: *) ეძლევა ყველას ბინა, გათბობა-განათება და სასმელ-საჭმელი.

სამეურნეო ხარჯი.

10	საავადმყოფოს ოცი (20) საშუალო და დაბალი მოსამსახურისა და ორმოცდა ათი (50) ავადმყოფის შესანახი (დღეში თითოს ოცი მანეთი)	—	—	40736	206800
11	წამლები, შესახვევი მასალა და ინსტრუმენტები	—	—	8090	40000
12	ბინის ქირა	—	—	1200	6000
13	გათბობა-განათება	—	—	7000	35000
14	სარეცხი და საპონი	—	—	2250	11250
15	მიცვალებულთა დამარხვა	—	—	2000	10000
16	საგზაო და დღიური	—	—	2000	10000
17	საკანცელარიო ხარჯი	—	—	300	1500
18	წვრილმანი სამეურნეო ხარჯი	—	—	1600	8000
	ჯამი	—	—	65086	325430
	სულ	22	18600	101486	507430

1920 წ. აგვისტოს 16-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920—1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშით თანხის გადადებისა.

1. დამატებად ამა წლის ივნისის 22-ს დეკრეტისა სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920-1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშით სათანადო თანხის გადადებისა („საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 წ. № 145) გადადებულ იქნეს მთავრობის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის სექტემბრის 1-დან ოქტომბრის 31-დე სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ამ დეკრეტთან დართულ ნუსხის თანახმად 1920—1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშით სექტემბრისათვის ხუთას სამოცდა ოთხი მილიონი სამას ოთხმოცდა თორმეტი ათას ორას სამოცდა ჩვიდმეტი (564392277 მან., ოქტომბრისათვის ოთხას ოთხმოცდა ცხრამეტი მილიონი ცხრაას ოთხმოცდა ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცდა შვიდი (499997527) მანეთი, სულ—ერთი მილიარდი სამოცდაოთხი მილიონი სამას ოთხმოცდა ცხრა ათას რვაას ოთხი (1.064.389.804) მან.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წლის აგვისტოს 16-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

საქართველოსა და სომხეთ შორის არსებული ნეიტრალი ზონის მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის შეცვლისა.

1. 1920 წლის მარტის 16-ს დეკრეტით დამტკიცებული საქართველოსა და სომხეთ შორის არსებული ნეიტრალი ზონის მილიციის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის ნაცვლად დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წ. თებერვლის 1-დან ამ დეკრეტთან დართულ ზემოხსენებული ნეიტრალი ზონის მილიციის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთაღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო საზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე დამატებითი თანხა ოთხას თორმეტი ათას ოთხასი (412.400) მან.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებული ნეიტრალი ზონის მილიციის შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტის მოქმედება ჯამაგირის მომატებისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფან.ძე.**

ხარჯთ-აღრიცხვა.

საქართველოს და სომხეთს შორის არსებული ნეიტრალი ზონის მილიციისა.

№№ რიგზე.	ხარჯების საგანი	თვეში.	1920 წ. თებერვლის 1-დან 10-მდე.
1	პირად შემადგენლობის შენახვა	401400	1605600
2	ფურაჟის	71000	284000
3	ტუსაღთა ჩრენა	7500	30000
4	საკანცელარიო ხარჯი.	3500	14000
5	გათბობა განათება	4500	18000
6	დასათხოვ პირთა დაკმაყოფილება	17500	70000
7	მედიკამენტებისათვის	5000	20000
8	სააგენტურო	8000	32000
9	წარმომადგენლობის	6000	24000
	სულ	524400	2097600

1920 წ. აგვისტოს 16-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგ. საქმ. სამინისტროში

ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ჭუთაისის ლეჩხუმის და რაჭის სამაზრო მილიციის უფროსთ, რომ მიიღონ საგანგებო ზომები ცარცვა-გლეჯის მოსასპობად და მოგზაურობის უზრუნველსაყოფად.

დახმარება

ოზურგეთის სამაზრო ერობამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მობილიზაციის გამოცხადებისათანავე დაარსდა სარაიონო კომიტეტები მობილიზაციით გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ სამაზრო ერობის ხელმძღვანელობით სარაიონო კომისიები ეხმარება მობილიზაციით გაწვეულთ ოჯახებს მოსავლის მოწევაში და შეძლების და გვარად მათ ნივთიერ დახმარებასაც აძლევს.

საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან

საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს ცნობები, რომ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე არსებულნი ქართველთა ეროვნულ საბჭოები ხშირად ითვისებენ მთავრობის ორგანოთა უფლებას: კისრულობენ მთავრობის წარმომადგენლობას და როგორც ასეთნი, იძლევიან მოწმობებსა, თუ სხვა საბუთებს. სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებულ საბჭოთა განცხადებას, ან მათ მიერ გაცემულ ქაღალდებს, ოფიციალური ძალა არა აქვთ, რადგან ეს დაწესებულებანი მთავრობიდან არ არიან საამისო უფლებით აღჭურვილნი.

დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელი კრების შენობის შეკეთების გამო.

დამფუძნებელი კრების შენობის შეკეთების გამო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ და კანცელარიამ შესწყვიტა მთხოვნელთა მიღება. ამასთანავე აიკრძალა სასახლის ბაღში შესვლა. დღემდის გაცემული ბილეთი დამფუძნებელ კრებისა და ბაღში შესასვლელად დღეიდან თავის ძალას კარგავს.

მისალმება დამფუძნებელ კრებას.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ მიიღო წალკის ერობის ყრილობისაგან მისასალმებელი დეპეშა.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ნიდერლანდიის მთავრობა და ხალხთა ლიგის ბიურო.

ჟურნალი „დედება“ სწერს ნიდერლანდიის მთავრობასა და ხალხთა ლიგის ბიუროს შორის დამოკიდებულება თანდათანობით მტკიცდება. მთავრობამ გადასწყვიტა ბიუროში სპეციალური წარმომადგენელის გაგზავნა.

სპარსეთის მდგომარეობა.

„ტანი“ სწერს: მთავრობის ცნობებით სპარსეთის მდგომარეობა არ არის მტკიცე. ბოლშევიკები ყოველ ღონის ძიებას ღებულობენ სპარსეთში თავის გავლენის გასაძლიერებლად. „ჟურნალი დედება“ იუწყება, რომ ავსტრიის მთავრობასა და ლიტვინოვს შორის ტყვეების გაცვლისა და დიპლომატიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ შეთანხმება მოხდაო. შეთანხმების ძალით ავსტრია უარს უცხადებს რუსეთან საომარს განწყობილებაში მყოფ რომელიმე სახელმწიფოსადმი დახმარების აღმოჩენაზე.

ავსტრო უნგრეთში.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ მიმდინარე წლის მოსავლის შედეგი გამოაქვეყნა, ხორბლის რაოდენობა უდრის 9.360,204 კვინტალს, ბავშვის 4.642,951 კვინტალს, ქერის—4.734,341 კვინტალს. მოსავლის შედეგი მხოლოდ უნგრეთის ტერიტორიას ეხება. სიმინდისა და ქართოფილის მოსავალი კარგია.

„ჟურნალ დე-დება“ საქართველო და სომხეთის შესახებ.

„ჟურნალ დე-დება“ იუწყება: ბოლშევიკურ საშიშრების გამო დამოკიდებულება საქართველოსა და სომხეთს შორის გაუმჯობესდა. საქართველო ფრთხილად თვალყურს ადევნებს ბოლშევიკურ პროპაგანდას და ყოველ ზომებს იღებს მის აღმოსაფხვრელად. მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლობის რწმუნებისა მაინც ეწევიან ბოლშევიკურ პროპაგანდას; მთავრობამ ამ პროპაგანდის კვალს მიაგნო.

რუსეთი და ნორვეგია.

ნორვეგიის მინისტრი მიშლე, თანახმად „იზვესტიის“ ცნობისა, რუსეთსა და ნორვეგიას შორის სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას ხელს უშლის. მიშლეს მოთხოვნილებით ლიტვინოვს ნორვეგიაში შესვლაზე უარი უთხრეს.

(გაზეთებიდან).

ვრანგელი და ბოლშევიკები.

ყირიმიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბოლშევიკებს თავისი არმიიდან ბევრი სამხედრო ნაწილი გადაუყვანიათ გენერალ ვრანგელის ფრონტზე, გაზეთები იტყობინებიან რომ ბოლშევიკები ცდილობენ როგორმე გაარღვიონ ვრანგელის ჯარის რკალი, მათ ეს არ ძალუძს და ვრანგელის წინსვლა გრძელდება და მისი გაძარჯკებაც წარმატებით მიდის.

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ეღირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი უკუღმან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და ძათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

გლეხთა აჯანყება.

სოხუმიდან მიღებულ ცნობების თანახმად შავი ზღვის ნაპირზე მცხოვრებთ გლეხებს აჯანყება მოუწყვიათ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკები ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევენ მათ, რადგან თავიანთი სამხედრო ძალები მიმართული ჰყავთ გენერალ ვრანგელისკენ.

კომუნისტის გულწრფელობა.

ხარკოვში თავი მოიკლა შრომის კომისარმა სვატენკომ. თავის მოკვლის წინ მას დატოვებინა ბარათი, სადაც სწერდა რომ მისი ამხანაგების უმრავლესობას აღარა სჯერაო კომმუნიზმი, მუშაობენ ტლანქად და უხალისოდ. ბევრს შიშით ვერ აღუარებია თავის გულის ზრახვა, რადგან ბოლშევიკები ამას არ აპატიებენ. ამ წერილის დატოვებაზე სვატენკს ბოლშევიკებმა პატივისცემით აღარ დამარხეს.

კომუნისტურ კულტურის ანკეტა.

მოსკოვში კომუნისტ ლიტერატორებს განუზრახავთ რომ მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე გაგზავნონ დელეგატები და მათ გააკეთონ ანკეტა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ახალ კომუნისტურ კულტურის შორის. ანკეტა შეეხება უფრო ლიტერატურას, ხელოვნებას და პრესასა. ამ მიზნით გამოცემული იქნება დიდი კრებული, სადაც წინასიტყვაობას წანუმძღვარებს ა. ლუნაჩარსკი.

სომეხთა ვალების საერთაშორისო ლიგა.

პარიზში დაარსდა სომეხთა ვალების საერთაშორისო ლიგა. ლიგამ სომხეთის ხალხს მოწოდებით მიჰმართა. მოწოდებაში გამოთქმულია სომხეთის ხალხისადმი ნდობა და დახმარება.

საბერძნეთი და ოსმალეთი.

ბოლო ხანებში საბერძნეთ და ოსმალეთის შორის ისევ გამწვავება მოხდა. რამდენიმე შეტაკებას ჰქონდა ადგილი ქემალისტების და გენერალ პარასკევოპულოს ჯარების შორის.

მრეწველობა ინგლისში.

„დეილი მეილი“ სწერს: ინგლისის მრეწველები საჩივარს აცხადებენ მოგებაზე დიდ გადასახადის დაწესების გამო. ზოგიერთი სამრეწველოები სახელმწიფოსათვის იხდის თავის მუშების 40%.

ინგლისის რკ. გზის მოსამსახ. კონფერენცია.

„ტაიმსი“ სწერს: ინგლისის რკინის გზის მოსამსახურეთა კონფერენციამ გამოიტანა შრომის ხელფასის გადიდების საწინააღმდეგო რეზოლიუცია. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ცხოვრების გაძვირებას იწვევს მსოფლიო მეურნეობის დანგრევა და ქაღალდის ფულის სიმრავლე. შეკავშირებული მუშები უნდა შეეცადონ ამ მიზეზების მოსპობას. შრომის ხელფასის ზრდა აძლიერებს ცხოვრების გაძვირებას და ამიტომაც მუშებმა თავი უნდა შეიკავონ შრომის ხელფასის მომატების მოთხოვნაზე.

ერთა ლიგის ხარჯებისათვის.

მინისტრთა საბჭომ 2 მილიონი პეზეტი გადასდვა ერთა ლიგის საჭიროებისათვის. გადაწყდა ეს ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანონ.

სოციალისტების დეპატიმრება მოსკოვში.

მოსკოვიდან მიღებული ცნობებით იქ ამ დღეებში მრავლად დაუპატიმრებიათ სოციალისტები და უმთავრესად ს. რ. სხვათა შორის დაპატიმრებულია ვოლსკი და რაკიტნიკოვი. გაძლიერებულად ეძებენ ვიქტორ ჩერნოვს.

ადერბეიჯანის ნოტა

აგვისტოს 10. „ტანი“ სწერს: ადერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგაციამ სპის კონფერენციას ორი ნოტა წარუდგინა. პირველ ნოტაში აღნიშნულია რესპუბლიკის მდგომარეობა და ის პირობები რომელშიაც ბოლშევიკებმა ადერბეიჯანი დაიკავეს. საბჭოთა რუსეთის შეპირება, რომ პატივისცემით მოეკიდებოდენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის და მოუკიდებლობას, არ იქმნა შესრულებული. დახვრიტეს მთავრობის წევრები და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები სახელმწიფო ქონებას რეკვიზიცია უყვეს და ხალხს გადასახადები დაადვეს. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა წმინდა დაპყრობითი პოლიტიკა შეიქმნა და ხალხი პროტესტს აცხადებს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. ნოტაში მოთხოვნილია მოკავშირეებისაგან დახმარება ბოლშევიკებისაგან თავის დასაცავად. მეორე ნოტაში ადერბეიჯანის დელეგაციის წევრები თხოულობენ, რომ მისცენ მათ ნება დაესწრონ ლონდონის კონფერენციას, რომელიც გამოარკვევს საბჭოთა რუსეთის ახლად შექმნილ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებას. ადერბეიჯანის დელეგაციის აზრით ამ კონფერენციას უნდა დაესწრონ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებიც და მათ რიცხვში ადერბაიჯანისაც და მათ. „ტანის“ ცნობით ადერბაიჯანის დელეგაცია მიიღო გრაფმა სფორცამ და ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა.

სომხეთში

— მახლობელ აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკის კომიტეტის გენეროალურმა სეკრეტარმა ვიკრიმ მოიარა სომხეთი და ყენევას გაემგზავრა სომხეთის მეგობართა მომავალ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. ამ ცოტა ხანში მოელიან სომხეთის რკინის გზებზე ნაწილობრივად მოძრაობის განახლებას.

— სომხური პრესა ეხება სომხეთისა და საქართველოს წინაშე საფრთხის საკითხს. პრესას საჭიროდ მიაჩნია ორივე რესპუბლიკის სოლიდარული მოქმედება და აღნიშნავს საქართველოსთან კავშირის აუცილებელ საჭიროებას.

პოლონეთი

ბათომიდან აგვისტოს 22, მიღებული ცნობით პოლონელებმა ბალშევიკები მიუშვეს ქალაქის გარე ფორტებთან და შემდეგ ორივე მხრივ კონტრ-შეტევაზე გადავიდენ. პირველი შეტევა მიმართული იყო ივანგოროდიდან ბრესტ-ლიტოვისკენ. შეტევას ხელმძღვანელობდა მარშალი პილსუდსკი. მეორე მხრივ შეუტიეს ნოვო გიორგიევსკისკენ მდინარე ნაროვის ჩრდილოეთით. შეუტიეს აგრეთვე მესამე მხრიდან ვარშავა-დანციგის რკინის გზის მიმართულებით.

ორივე კონტრ-შეტევით მიზანს მალე მიაღწიეს. მდინარე ნაროვის მარჯვენა ნაპირი ლებერგისა და ნაროვის შესართავთან ფორტები პოლონელებმა უკან დაიბრუნეს და აღადგინეს ვარშავის დაცვის ბუნებრივი ხაზი.

პილსუდსკის ჯარმა ვიპრიდან მიკიდებული ნაროვიტნამდი 40—70 კილომეტრის სიგრძეზე გარეკა მტერი. ვარშავა-დანციგის ხაზზე გაევის სამხრეთით 5 კილომეტრზე წინ წაიწიეს. ამგვარად ტორნისა და პლოცკისკენ წამოსულ ბალშევიკების ჯარებს სასწრაფოდ უკან უნდა დაეხიათ.

— თანახმად ვარშავიდან მოსულ ცნობებისა, მიუხედავად საბჭოთა რუსეთის დელეგაციის განცხადებისა, დამოკიდებულება პოლონეთის დელეგაციასთან ძლიერ გაძნელებულია. საპეგამ, პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, ჩიჩერინს გაუგზავნა რადიოდეპეშა, რომელშიაც იგი იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმად დაპირებისა, პოლონეთის დელეგაციასთან დამოკიდებულების დაჭერის შეძლებას მოგვცესო.

— „ჰტი პარიზიენი“ ბეჭდავს ლონდონში მყოფ პოლონეთის ელჩის განცხადებას. პოლონეთი აწარმოებს ომს იმ მიზნით, რომ ბალშევიკები განდევნონ პოლონეთის ტერიტორიიდან.

ბოლშევიკური ჯარი, რომლებიც მლავის და სოღლაუს რაიონში არის მომწყვდეული, ცდილობს წრის გარღვევას, ორი დღის განმავლობაში პოლონელებმა ამ რაიონში ხელთ იგდეს 11.000 ტყვე პოლონეთის მთავარმა ძალებმა დაიკავეს მთელი ტერიტორია (დამახინჯებულია) ნარევსა და ბუგს შორის. ბრძოლა, რომელიც ბუგის მიმდინარეობის შუაგულში დაიწყო, გადასწყვეტს ნარევსა და პრუსიის საზღვარს შორის მყოფ წითელ ჯარების ბედს. ბოლშევიკების ცდა გრუბეშოვთა უშედეგოთ დასრულდა. პოლონეთის ჯარები, რომლებმაც ბრესტლიტოვსკი დაიკავეს მაგრდებიან აღმოსავლეთის საზღვრებზე (დამახინჯებულია).

ხელშეკრულება პოლონეთსა და დანციგს შორის

დანციგის სოციალისტურმა პრესამ გამოაქვეყნა პოლონეთ-დანციგის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც სულ მოკლე დროში განსახილველად დამფუძნებელ კრებას წარედგინება.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

გერმანული პრესა.

გერმანიის პროფეს. კავშირთა შორის.

გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა კავშირი და დაქირავებულ მოსამსახურეთა ლიგის კომიტეტი ეკონომიურ, პოლიტიკურ და მათ შორის სოციალისტურ საკითხების განსახილველად პირველად იწვევს თავის საბჭოების კონგრესს.

რუხის ჯარი.

თანახმად აღმოსავლეთ გერმანიიდან მოსული ცნობებისა, რუსეთის 6-7 ათასი ჯარის კაცი ნედენბურგის ახლო გერმანიის საზღვარზე გადასულა. მათი განიარაღება მშვიდობიანათ ჩატარდა. რუსები მოათავსეს იქ, სადაც 2000 პოლონელი დეზერტირი იყო მოთავსებული.

ბალშევიკები პოლონეთის და ვრანგელის შესახებ.

თუ გინდა განთავისუფლდეთ კაპიტალისტების უღლისაგან ჩვენ უნდა დავამარცხოთ პოლონეთი და ვრანგელი. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის მძიმე დრო დადგა. მას მძიმე და შავი ღრუბლები დააწვა. პოლონეთის თეთრგვარდიელებმა და ვრანგელის ბანდებმა, რომელთაც მოკავშირეები უწევენ დახმარებას, შემოიკრიბეს ძალები და საშინელი სიმკაცრით ეკვეთენ წითელ არმიელებს.

პეტროგრადის პასუხი თეთრგვარდიელთა ახალ შეტევაზე.

გავიგეთ რა პოლონეთის ფრონტზე მტრის შეტევაზე გადმოსვლა და ჩვენი სახელოვანი ჯარების იძულებითი უკან დახევა, პეტროგრადის კომიტეტი და პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: ორი საათის განმავლობაში მოახდინოს თავის ორგანიზაციების საუკეთესო წევრთა მობილიზაცია. ვარშავა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა ავიღოთ. პოლონეთის პანები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიღუპოს.

მდგომარეობა ზემო სილეზიაში.

მდგომარეობა ზემო სილეზიაში არ შეცვლილა. კატოვიცში წესიერებას საფრანგეთის ჯარები იცავს. მოკავშირეთა კომისია კატოვიცში წინანდელ მდგომარეობის აღსადგენად ყოველგვარ ზომებს ხმარობს. დაიწყო განიარაღება.

თათბირი ლიუცერნში

პარიზში მყოფმა ინგლისის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს ოფიციალურად აცნობა ტექსტი (დამახინჯებულია), რომელიც ლიუცერნში ლოიდ ჯორჯის და ჯიოლიტის შეხვედრის დროს შემუშავდა. ამ ცნობის საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრმა ინგლისის საელჩოში შემდეგი ნოტა გააგზავნა: საფრანგეთის მთავრობა მადლობას უთვლის ინგლისის და იტალიის მთავრობებს ცნობების გამოგზავნისათვის და ბედნიერია მით, რომ ცნობაში

არ არ არის არაფერი ისეთი, რაც ეწინააღმდეგებოდეს იმ იდეებს და პრინციპებს, რომელსაც საფრანგეთი იცავს, მიიღო რა ლიუცერნიდან გამოგზავნილი ლოიდ ჯორჯისა და ჯიოლეტის დეპეშა. მილიერანმა თავის პასუხში განაცხადა, რომ იგი ნასიამოვნებია მათი უურადღებით და იმედი აქვს, რომ მალე პირადათ შეხვდება როგორც ჯიოლიტის, ისე ლოიდ ჯორჯს.

კოკუზაის სააგენტო ტოკიოდან იუწყება, რომ საფრანგეთის პრესსა იმ თათბირის შემდეგ, რომელიც ლიუცკრნში შესდგა სიამოვნებით ეგებება. ეს ნიშნავს იმას, რომ დიდი ბრიტანეთის და იტალიის მთავრობები მომავალში საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმებით იმოქმედებენ. პოლონეთის და რუსეთის შესახებ ინგლისის და იტალიის წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ აღეარებიათ. რომ საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული პირობები ყოვლად მიუღებელია. საფრანგეთი კმაყოფილებას გამოსთქვამს რომ ინგლისმა და იტალიამ ამ ჟამად საფრანგეთის თვალსაზრისი გაიზიარეს. ამ რიგად საბჭოთა რუსეთის იმედები, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში უთანხმოების შექმნისა.

როგორც იუწყებიან მილერანი ჯიოლიტს სექტემბრის შუა რიცხვებში ექს ლე-ბენშეხვდება.

ახალი ამბები

სომხების თხოვნა. საქართველოში მყოფმა სომხების დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობას სთხოვა, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე გაუშვას საბჭოთა რუსეთიდან სომხეთს გამომგზავრებული 4000 სომეხი. ეს შეამდგომლობა საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა.

საქონლის ჭირი. სართიჭალაში და მის რაიონში მძვინვარებს საქონლის ჭირი (ციმბირის ჭირი) ასაკრელი შრატი არ მოიპოვება და ბევრი საქონელი უმსხვერპლია.

საერობო მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება. აგვისტოს 26, ტფილისის ერობის თვითმართველობის ფინანსიურ კომისისა და ხმოსანთა საბჭოს პრეზიდიუმის შეერთებული სხდომა არის მოწვეული. სხდომაზე მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების საკითხი გაირჩევა.

მეტეოროლოგიურ სადგურის მოწყობა. ტფილისის სამაზრო ერობამ მანგლისში მეტეოროლოგიურ სადგურის მოსაწყობად საგანგებო თანხა გადასდო.

თავდაცვის საბჭოში. თავდაცვის საბჭოში განიხილეს მოხსენება კულტურულ სექციაში მობილიზაციისაგან გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად საჭირო თანხის გადიდების შესახებ. დაადგინეს: მიიღონ მოხსენება და აღნიშნულ მიზნისათვის სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში გადასდონ 500.000 მანეთი.

საავადმყოფო კასა. ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის გამგეობამ დაადგინა ჯამაგირის მომატება აგვისტოს 1 რიცხვიდან გავრცელდეს იმ მოსამსახურეებზედაც, რომლებიც ავადმყოფობის გამო შვებულებაში არიან. საავადმყოფო კასის გამგეობამ მოისმინა საქიმო დახმარების მის ხელში გადმოსვლის შესახებ და პრინციპიალური თანხმობა განაცხადა ამ გადაწყვეტილებაზე. ამასთანავე დაადგინეს მოეთხოვოს მეფაბრიკეებსა და მექარხნეებს შემოიტანონ კასაში არა უმცირეს 4%. მიუხედავათ იმისა, მრეწველები უარს განაცხადებენ თუ არა ეს დადგენილება ცხოვრებაში უნდა გატარდეს. საკითხი განსახილველად შრომის სამინისტროს გადაეცა. ამავე კასის გამგეობამ დაადგინა გამართოს სისტემატიურად საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების კრებები სოციალურ დაზღვევის მიზნებისა და კასის მოღვაწეობის გასაცნობად. ამასთანავე დაადგინეს: თანახმად ფოთის საავადმყოფო კასის შუამდგომლობისა, ფოთის მუშები ტფილისის საავადმყოფოში მიიღონ.

სურსათ-სანოვაგის მიწოდება ბაქოში მყოფ ინგლისელ ტყვეებისათვის. აგვისტოს 21 ამიერ-კავკასიაში მყოფმა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ლიუქმა, ბაქოში მყოფ ინგლისელ ტყვეებისათვის ერთი ვაგონი სხვა და სხვა საქონელი და სურსათ-სანოვაგე გაგზავნა. თანახმად რკინის გზის მოსამსახურეთა წრეებში მოსულ ცნობებისა ამ საქონლის ფოილოს ხიდთან გადმოტვირთვისათვის მუშებს 40.000 მან. მოუთხოვიათ.

საფრანგეთის წარმომადგენელნი: გრაფი დე-მარტელი, საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი, ვრანგელის მთავრობასთან საფრანგეთის უმაღლეს კომისრად დაინიშნა, სრულუფლებიანი მინისტრი შევალე კი დაინიშნა უმაღლეს კომისრად საქართველოს მთავრობასთან.

მარგანეცის ექსპორტი. თანახმად „ჩეგოს“ ცნობებისა ამ უკანასკნელ დღეებში გასულა მარგანეცით დატვირთული შემდეგი გემები: ჰოლანდიაში „ანტვერპენი“ 4500 ტონი მარგანეცით, ამერიკაში „აილანდი“ 4000 ტონით, ინგლისში „ვიქტორია“ 4000 ტონით. აგვისტოს 17, იტალიაში გავიდა 2 გემი 4000 ტონი მარგანეცი წაიღო.

ქუთაისის ამბები.

ქალაქის თვითმართველობა ქალაქის თეატრის გადაკეთებას შეუდგა. დასის შედგენა და სათეატრო საქმის ხელმძღვანელობა მიმდინარე წელს შ. დადიანს მიენდო.

— გამოდის ყოველ კვირეული გაზეთი „ხალხის მეგობარი“ და „სოციალ დემოკრატი“.

— „საკომისიო საზოგადოება“ მოქმედებას შეუდგა. საზოგადოებაში დასავლეთ საქართველოს კოოპერატივები და ქალაქის თვითმართველობანი იღებენ მონაწილეობას. საზოგადოების მიზანია საზღვარ გარეთ სხვა და სხვა საქონლის შესყიდვა და მათი მცხოვრებთათვის მიწოდება. (დ. ს.)

— მუშავდება პროექტი სადგურიდან ქალაქის საავადმყოფომდე ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანისა.

— ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ლ. გრიგოლია აირჩიეს.

შრომის სამინისტროსაგან.

ცირკულიარულად.

ყველა სამინისტროებს და სახელმწიფო დაწესებულებებს.

თანახმათ დამფუძნებელ კრების ამა წლის 16 აგვისტოს დეკრეტისა, სახელმწიფო მოსამსახურეებს ჯამაგირები უნდა მიემატოს 1 ამა აგვისტოდან 50—100%-დე რადგანაც ძლიერ საჭიროა დაწესებული მომატება დროზე მიიღონ მოსამსახურეებმა, შრომის სამინისტრო სთხოვს ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებს რათა საჩქაროთ იქნეს შედგენილი ჯამაგირის მისაღებათ სიები, თანახმათ 17 აგვისტოს დეკრეტისა.

რადგანაც მომატება გატარებული უნდა იქნეს ისე, რომ მოსამსახურე წინა კატეგორიისა არ იღებდეს იმდენს ან მეტს, რამდენსაც იღებს მომყოლ კატეგორიის მოსამსახურე, ამისთვის შრომის სამინისტრო იძლევა წინადადებას იხელმძღვანელონ საქმით, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 188-№-ში.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ალ. ბახტაძე.**

საქმეთა მმართველი **ი. გოლდმანი.**

სატარიფო პალატაში

ცირკულიარი

ყველა მუშათა ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, ქალაქის და ერობის თვითმართველობებს, შრომის კომისრებს და მათ რწმუნებულებს.

ამით ეცნობებათ ყველას, რომ ჯამაგირების მომატების გამო, რომელიც მიღებული იყო ამა წლის აგვისტოს 17, სატარიფო პალატის პრეზიდიუმის მიერ ცირკულიარის № 5013, 28 ივლისის შეცვლით — დადგენილია: ის მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც არ სარგებლობენ მომარაგების ფონდიდან სურსათ-სანოვაგით, ხელფასის ტარიფის ზევით იღებენ გასამჯელოს ზედმეტს 25%, მაგრამ არა ნაკლებ 50 მან. და 90 მან. ზევით დღეში ან არა ნაკლებ 1250 მან. და არა მეტს 2250 მან. თვეში. ეს დადგენილება შედის ძალაში ამა წლის აგვისტოს 1-დან და უნდა მხედველობაში იყოს მიღებული იქ, სადაც არსებობს და მოქმედებს მომარაგების ფონდი.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე

ი. გოლდმანი.

ბათომი

ბათომის ქალაქის მილიციის თანაშემწეთ ნ. გაბუნია დაინიშნა. მასვე დაევალა სისხლის მილიციის ბიუროს უფროსობა.

— სომხეთის გენერალურ კონსულის ათაბეგონისაგან ბათომისა და მის ოლქის განსაკუთრებულმა კომისარმა მიიღო სამადლობელი დეპეშა კომისრის მიერ 50 ათასი მანეთის ობოლ სომეხთა სახლისათვის შეწირვის გამო. დეპეშაში გამოთქმულია სურვილი კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომობისა ამ ორ მოძმე ხალხთა შორის.

— ბათომისა და მისი ოლქის განსაკუთრებული კომისარი ამბასთუმანს წავიდა, საიდანაც იგი ტფილისს ჩავა. მისი მოვალეობის აღსრულება დაევალა ბათომსა და მის ოლქში მდგომ ჯარების სარდაფის გენერალ მდივანს, რომელიც აგვისტოს 23 თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

— გადამდებ სნეულებასთან ბრძოლის მიზნით ქალაქი დაიყო 13 სააქიმო პუნქტად, თვითეულ პუნქტში 5—6 ათასი მცხოვრებია. ამასთანავე შესდგა გადამდებ სნეულებასთან მებრძოლი საბჭო. აღმასრულებელი ფუნქციები მიენიჭა განსაკუთრებულ კომისიას, რომლის სათავეში სდგას ბათომისა და მისი ოლქის განსაკუთრებული კომისარი და რომლის შემადგენლობაშიაც შედის საზოგადოებრივ დაწესებულებებისა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელი.

ერობა

ერობათა მოქმედება.

ერობათა კავშირმა რესპუბლიკის საერობო დაწესებულებათა მოქმედების შესახებ მოხსენება შეიმუშავა. მოხსენება რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგაციას გადაეცა. მოხსენებაში შემდეგი არის აღნიშნული: საქართველოს რესპუბლიკაში 20 სამაზრო ერობა და 356 თემი არის მოწყობილი. ამ რიცხვში არ შედის ბათომის ოლქი. ერობათა თვითმართველობების ხმოსანთა არჩევნები თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭის ყრით ხდება. არჩევნები პროპორციულ პრინციპზე არის აგებული. ნორჩ საერობო დაწესებულებათ მძიმე პირობებში მოუხდათ მუშაობა, მაგრამ ერობებმა მცხოვრებთა საერთო ნდობა მაინც დაიმსახურეს. განსაკუთრებული მწვავე ხასიათი სასურსათო საკითხმა მიიღო. ამიტომ ერობები, რომ შეემსუბუქებინათ მცხოვრებთა მდგომარეობა, იძულებულნი იყვნენ თითქმის ყოველ მაზრაში სასურსათო მაღაზიები მოეწყოთ. ამასთანავე საერობო დაწესებულებათა ორგანოები მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ ცნობებს კრებს. სურსათ-სანოვაგეს სამაზრო ერობები აგროვებენ თავის ხელში, დანაკლისს ყიდულობენ და შემდეგ აწესრიგებენ მცხოვრებთა შორის, იმისდა მიხედვით, თუ ვინ როგორ გაჭირვებას განიცდის. ამასთანავე საერობო დაწესებულებანი მომარაგების სამინისტროს მიერ სასურსათო გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად ყოველგვარ ზომებს ღებულობენ. აგრეთვე ერობები იღებენ ზომებს რაიონების ეკონომიურ კეთილდღეობის განსამტკიცებლად: ამ მიზნით სდებენ სათანადო თანხებს: ზუგდიდის სამაზრო ერობამ ამ მიზნის განსახორციელებლად 7 მილ. მანეთზე მეტი გადასდო, ბორჩალოს სამაზრო ერობამ 12 მილ. მან. მეტი, გორის სამაზრო ერობამ დაახლოვებით 3 მილ. მან., თიანეთის ერობამ 2 მილ. მან., და სხვ. განსაკუთრებულ უურადღებას სამაზრო ერობები სახალხო განათლების საქმეს აქცევენ: გახსნილია საშუალო და დაბალი სასწავლებლები, მოწყობილია კურსები, საკვირაო სკოლები, სამკითხველოები და სხვ. ტფილისის სამაზრო ერობამ განათლების საქმეზე თავის წლიურ ბიუჯეტის მერვე ნაწილი დახარჯა; გორის სამაზრო ერობამ წლიურ 50 მილ. მან ბიუჯეტიდან 9 მილ. სახალხო განათლების საქმეს მოანდომა. ოზურგეთის ერობამ 55 მილ. მანეთიდან 21 მილ. მანეთი და სხვა. სერიოზული უურადღება ექცევა აგრეთვე საექიმო სასანიტარო და საველერინარო საქმეებს. ასეთივე უურადღებით ეპყრობა სამაზრო ერობა საგზაო აღმშენებლობას და სხ. სამაზრო ერობებმა და ზოგიერთა თემებმაც საერობო აფთიაქები გახსნეს: ოზურგეთის საერობო თვითმართველობამ 5 აფთიაქი გახსნა; ქუთაისის ერობამ—5; სენაკისამ 6 და სხვა. ადგილობრივ პირობების ბუნებრივ სიმდიდრის და თვითმცხოვრებთა მოთხოვნილებების თანახმად ადგილობრივ რაიონებში მრეწველობის ესა თუ ის დარგი ვითარდება. ეწყობა კარგი მექანიკური სახელოსნოები და წისქვილები. ასეთი არხნები მოწყობილია გორის, თიონეთის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გუმისტანის და სხ. სამაზრო ერობების მიერ. სენაკის სამაზრო ერობამ, გარდა ამისა, კარგად მოაწყო ქსოვის საქმე. აქვე მექანიკურ სახელოსნოსთან მოწყობილია სახარატო, საზეინკლო, სასაქმო და სადურგლო საამქროები. დიდძალი თანხები გადასდო აგრეთვე ერობამ რკინის გზების და სამკურნალო წყლების საჭიროებისათვის. კერძოდ სილნაღის და კოდორის ერობები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ უკეთესად მოაწყონ განთქმული ახტალის ტალახიანი აბანოები და ტყვარჩელის წყლები. თავის მხრივ ერობათა კავშირი მრეწველობის განვითარებას დიდ უურადღებას აქცევს. ქალაქებში მან ცენტრალური სახელოსნოები მოაწყო, გახსნილია დიდი ტყის სახერხი, საპნისა და სხვა ქარხნები. ერობათა კავშირი აწარმოებს აგრეთვე საქონლის შესყიდვას და შემდეგ მცხოვრებთათვის დასარიგებლად. საქონელს წვრილ საერობო ერთეულებს აწვდის. დასასრულ ერობათა კავშირი აღნიშნავს, რომ ერობების დაწესებულებათა მუშაობამ მოიტანა სასურველი შედეგები და მან მოამზადა ნიადაგი მთელი ეკონომიური ცხოვრების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განმგებლობაში გადასვლისათვისო.

რკინის გზაზე.

რკინის გზის სახელოსნოებში.

რკინის გზის მთავარ სახელოსნოების უფროსი თავის მოხსენებაში ეხება ამ სახელოსნოებში არსებულ მუშაობას. ვაგონების მკეთებელ სახელოსნოებში 367 ხელოსანი ითვლებოდა. დიდი შეკეთება სჭირდებოდა და შეაკეთეს 48 საკლასო ვაგონი. საშუალოდ შეაკეთეს 43 ვაგონი, სასწრაფოდ გაუსინჯავთ 22 ვაგონი და ცოტათი შეუკეთებიათ 96 ვაგ. შეაკეთეს აგრეთვე საბარგო მრავალი ვაგონი. სამღებრო განყოფილებაში შელებეს 75 ორთქლმავალი, 209 საკლასო ვაგონი და 1093 საბარგო ვაგონი და ცისტერნი. ამას გარდა შეასრულეს მთელი რიგი სახ. ზინო და კერძო პირთა შემოწკვეთი საქმე. მოაწყეს ელექტრონის განათებით მატარებელი, აბანო, 8 რესტორანი ვაგონი და 46 სხვა და სხვა ვაგონი. ელექტრონის განათება მოაწყვეს 18 სამგზავრო მატარებლის ვაგონში.

ქალაქის საგზაოში.

აგვ. 23 ა. მდივანის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. იხილავდენ შემდეგ საკითხებს: 1) ტრამვაის ტარიფის გადიდების, 2) წყლის ტარიფის გადიდების, 3) სასაკლაოთი სარგებლობის ტარიფის გადიდების, 4) ქალაქის სასაფლაოზე ინგლისელების ნეშტის გადატანის და 5) უბნების კომისარიატებში სამხედრო აღრიცხვის მაგიდების დაარსების შესახებ. დაადგინეს: გაადიდონ ტრამვაის ტარიფი 3-დან 6 მანეთამდე, 5—10 მანეთამდე, და 10—20 მანეთამდე. ახალი ტარიფი ძალაში შედის აგვ. 25-დან. 2) გაადიდონ აგვ. 15-დან ტარიფი წყალზე, ვიდრო ელირება 30 კაპ. ამასთანავე სურვილი გამოსთქვეს ცენტრალურ ადგილას უფასო აბანოს, ორი უფასო სამრეცხველოს დაარსებისა და უფასო კრანების რიცხვი ორჯერ გადიდებისა. ასე რომ კრანთა რიცხვი მიაღწევს 96. აგრეთვე სურვილი გამოსთქვეს იმისა, რომ მომხმარებელთა შორის უფრო სამართლიანათ გააწესრიგონ, წყლის გადასახადი. ამასთანავე საბჭომ მიანდო ქალთვითმართველობას გამოსძებნოს საღსარი წყალსადენის ექსპლოატაციით გამოწვეული მოსალოდნელ დეფიციტის დასაფარავათ. 3) გაადიდონ ტარიფი სასაკლაოთი სარგებლობისათვის 2—5 ჯერ იმისდა მიხედვით, თუ მათ როგორ ისარგებლებენ; 4) გადაზომონ ინგლისელების დასამარხავად 400 ოთხკ. ს. მიწა ქალაქის სასაფლაოზე, 5) დაარსონ სამხედრო აღრიცხვის მაგიდები უბნის უველა კომისარიატში და საჭირო ასიგნობის ნახევარი 350,000 მან. მიიღონ ქალ. ხარჯზე.

ფრონტისათვის

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულითა და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.

ტფილისის მილიციის უფროსისაგან (კომისარზე ჭრთამად შეძლეული) 450 მ., ხარაგოულის ფრონტის დამხმარე კომიტ. 1693 მ., სოფ. უშაბათის სოც.-დემ. კოლექტ. 900 მ., გომბორში გიორგაძის მიერ გამართულ სალამოსგან 1100 მ., სააქციზო სამართვ. მოხელ. 10350 მ., ლიის სოც.-დემ. ორგანიზ. 1700 მ., მოლითში შევროვილი 1589 მან., მიხელ ტურავისაგან 4420 მან., ნატანების საბაჟოს გამგეობ. 3920 მან., ანასტასია კიკნაძისაგან 100 მან., მოჭიდავე პატარა ვერელი და სხვა 1500 მ., ბაღდადის სცენის მოყვარეთა კავშ. 2000 მ., მეჯვრისხევის საოლქო საბჭ. 300 მ., ო. ორდოვისაგან 100 მ., № (სახელი და გვარი არ ირჩევა) 100 მ., წიგნაკის № 34/186 სადაც არ არის აღნიშნული ვინაობა შემომწ.

კნ. მიქელაძისაგან 1200 მ., ამერიკელ მღვდ. ბურაცკოვსკისგან 10 ამერიკ. ოქროს დოლარი, კოჯორის სოც.-დემ. კომიტ. 3034 მან., თელავის საზოგად. საკრებ. 1200 მან., სოლ. დოლიძისგან 29|V, ნაძალადევის თეატრში წარმ. შემ. 12521 მ. 50 კ.,

შორაპნის მაზრის ფრონტის დამხმარე კომიტ. 100,000 მ., ექ. ბეგთაბეგოვისგან 3000 მ., ქორქოლიან და გულიევისგან 2000 მან., რკინის გზის სამართვ. საექიმო-სასანიტ. განყოფ. 8187 მან., მჟავანაძე, დუმბაძე, რატიშვილი, ჰანტურია, ფირცხალაური, კარპოვი, მარტირუშოვი, მდივანი, შ. რამიშვილი, შალაგინი, მებუკე, გ. ქუთათელაძე, ბაიმანაშვილი, ნ. არაბიძე ხელაძე, გ. მახარაძე, პ. ჩინიჯევი, აბაშელი თითომ 100 მან., ელისაბედ სანაძისგან შეკრ. 707 მ., ბულგენდიცი, ჟვანია, მესხი ფორაქიშვილი თითომ 50 მან., პ. თალაკვაძე, ს. კილაძე თითომ 500 მან., ჯაჯანაშვილი, პ. გაბუნია, სუკიასოვი თითომ 200 მ., კ. კილაძე, ელ. ხელაძე თითომ 150 გუგუშვილმა 300 მან., სენაკის ქალ. გამგ. (მოსამსახ. შორის შეკრ.) 643 მან. 42 კაპ., ტფილ. მილიც. უფრ. (კოჭების მოთამაშეთაგან ჩამორთმეული) 3250 მან.

ჰიათურის შავი ქვის მრეწვ. საბჭ. 100,000 მან., ხაშურის უმაღლ. პირვ. დაწყ. სასწავლ. 4000 მ., ვ. ანჯაფარიძემ 1000 მ., ხრესილის (აქციზის მოსამსახ. შორის შეკრ.) 4500 მ., ჯორინთელმა სამი ყულაბით შეკრ. 2743 მან. 20 კ., ქართ. კლ. გამართ. საღამ. 93607 მ., ნ. კანდელაკის მიერ შეგრ. 3100 მ., კოდის სკოლის მასწავლ. 953 მან., ტფილ. მილიც. უფროსმა (ქრთამად შეძლეული) 5000 მან., აკაკი ჩხენკელმა აფხაზეთიდან 115100 მან., მარო რამიშვილმა საღამ. შემოსული 28007 მან., მილიც უფროსმა (ქრთამად შეძლ.) 200 მან.

აქციონ. საზოგ. „ოქროს ვერძი“ 300,000 მ., ნაძალადევის მერძ. კავშირმა 400 მ.

ხელოვნება.

ხელოვნების კომისიაში.

გომართელის თავმჯდომარეობით სახელმწიფო თეატრთან დაარსებულ ხელოვნების კომისიის პირველი სხდომა შესდგა. გადაწყდა საკითხი ავტორის ჰონორარის შესახებ. ორგინალურ ოპერაში აქტების მიხედვით მიეცემა 2½% ქართულ ენაზე გადმოთარგმნულ ოპერაში კი 1%. ამავე სხდომაზე გადაწყდა: გამოიწერონ იტალიიდან დრამატიული ტენორი, კოლორატურული სოპრანო, ბარიტონი და ბასი. გარდა ამისა ხელოვნების კომისიამ სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთან ერთად არტისტების ჯამაგირების ნუსხა შეიმუშავა.

სახელმწიფო თეატრი.

სახელმწიფო თეატრის ხელოვნების კომისიამ დაადგინა: სთხოვოს განათლების სამინისტროს არ მისცეს არავის უფლება ტფილისში კერძო საოპერო დასის შედგენისა მინისტრის უნებართვოდ 2) დაამტკიცოს სახელმწიფო თეატრში წინეთ არსებული დისციპლინის წესები, 2) შეამციროს თეატრის ექიმთა რიცხვი 7-დან სამამდე და 4) მოიწვიოს სახელმწიფო ოპერის გამგედ ევლახიშვილი.

მილიციაში

— 20 აგვისტოს გენერალმა ანდრონიკაშვილმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ მისი ბინიდან ბოროტ-მომქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა საოჯახო ნივთები ღირებული 30000 მან. ეჭვით დაპატიმრებული სეროშტანიკოვა ზინაიდა გადაეცა საგამომძიებლო ნაწილს.

— 20 აგვისტოს სასტუმრო „ვიკტორიაში“ მცხოვრებმა სტეფანე გრიგორიანცმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას მისი ბინიდან ხალიჩის დაკარგვის შესახებ ღირებული 20000 მან. კვლევა ძიება სწარმოებს. ეჭვით დაპატიმრებულია მეეზოვე ალექსანდრე საგატელიანცი.

განცხადებანი

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ნოვოროსიისკის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან № 198 და მეტრიკა, მიღებული ახალციხის რაბინისაგან ეკუთია დეხისკელიას ძე პანიკაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2385 3—2

დაიკარგა პასპორტი № 68, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან, მოწმობა სად. ტფილისის ადმინისტრატიულ კომისიისაგან მოწმობა, მიღებული რუსების ნაციონალური საბჭოდან და სახელოსნო კლუბის წევრობის ბარათი-იაკოფ ვლადისლავსკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2369 3—3

დაიკარგა ატესტატი № 1345 ტფილისის მე 6 გიმნ. 8 კლ. დამთავრების, ივანე დიმიტრის ძე ლაზარიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2381 3—3

დაიკარგა ნოტარიალური ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული 15 აპრილს 1919 წ. № 516 კუთვნილი მოქალაქე შალვა მაღლაკელიძისა. გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში, რათა აღნიშნული სიგელი გაუქმებულად ჩაითვალოს.

დაიკარგა პასპორტი დავით იოსების ძე ზილბერფორბის სახელზე. მიღებული ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2416 3—1

დაიკარგა პასპორტი № 7371 იაკოფ რავენ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2410 3—1

დაიკარგა პასპორტი № 6871 გიორგი სერგოს ძე გორბოვის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2411 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 3394 დანიელ ივანეს ძე კუზმინის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2412 3—1

1919 წ. აგვისტოს 13 14 ქუთაისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა შედგენილია 29 აგვისტოს 1912 წ. ნოტარიუსის წესით სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულის 28 აპრილს 1919 წ. იოსებ თეთრუაშვილის მცხოვრების ქ. ქუთაისში. 557 1—1

1919 წ. დეკემბრის 24 ქუთაისის ოლქის სასამართლომ, დაამტკიცა შედგენილია 23 იანვარს 1919 წ. ნოტარიალური ანდერძი გარდაცვალებულის 15 მარიობისთვეს 1919 ლევან ქვირის ძე თაბაგორის მცხოვრების სოფ. თაბაგრებში. 558 1—1

1929 წ. მარტის 18 ქუთაისის ოლქის სასამართლომ, დაამტკიცა შედგენილი 22 დეკემბერს 1905 წ. სასულიერო შინაური ანდერძი გარდაცვალებულის ნოემბრის 8 დღესა 1918 წ. მცხოვრების სოფ. ნაღუპსოვოში, სენ. მაზრ. 614 1—1

1919 წ. ნოემბრის 14 ქუთაისის ოლქის სასამართლომ, დაამტკიცა შედგენილი 11 ენკენისთვეს 1905 წ. შინ. სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულის 15 მარტს 1919 წ. კიმოთე ჯოგუშიას მცხოვრების ქ. ზუგდიდში. 613 1—1

1919 წ. სასამართლომ, დაამტკიცა შედგენილი 1908 წ. მარტის 1-ს ნოტარიალური სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულის პირველ ოქტომბერს 1918 წ. მცხოვრების სოფ. ფარცხნალში შორაპნის მაზრის ბეჟან ხარაძის.

ტფილისის ოლქის სასამართლომ მოისმინა რა 7 მაისს 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 15 თებერვალს 1920 წ. ნიკოლოზ არტემის ძე შაუმოვის ნოტარიალ. სასულ. ანდერძი დამტკ. შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 0520 1—1

1918 წელსა ენკენისთვის 10 ქუთაისის ოლქის სასამართლოს, სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა შედგენილი 15 ოქტომბერს 1919 წ. შინაური სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულის 11 დეკემბერს 1918 წ. მეფისაშვილის მცხოვრების ქ. ქუთაისში. 547 1—1

1920 წ. თებერვლის 6 ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა შედგენილი 29 ნოემბერს 1919 წ. სასულიერო ანდერძი შესრულებული შინაური წესით გარდაცვალებულის ანნა ლუკას ასულის გალდავაძის 1919 წელს 29 დეკემბერსა მცხოვრების ქ. ქუთაისში. 0506 1—1

დაიკარგა პასპორტი № 3100 მატრონა გაბრიელის ასული ბაქრაძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2413 3—1

1919 წ. ენკენისთვის 29 ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა შედგენილი 30 დეკემბერს 1918 წ. სასულიერო ანდერძი შესრულებული ნოტარიალური წესით გარდაცვალებულის ანთიმოზ ტყეშელაშვილისა მცხოვრების ქ. ქუთაისში. 0505 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრაციული განყოფილების დადგენილებით შეტანილია სარეგისტრაციო ნუსხაში 21 ნოემბრის 1919 წ. წესდება კორბოულის საკრედიტო ამხანაგობის დაარსებულის ს. კორბოულში. 266 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრატიული განყოფილების 17 ნოემბრის 1919 წ. დადგენილებით, შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, წესდება ჭრებულოს მომხმარებელ საზოგადოების „სინათლე“ ს, დაარსებულის ს. ჭრებულოში. 268 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრატიული განყოფილების 17 ნოემბრის 1919 წ. დადგენილებით, შეტანილია სარეგისტრაციო ნუსხაში, წესდება ნახუნაოს საკრედიტო ამხანაგობის, დაარსებულის ს. ნუხანავოში. 267 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმათ ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრაციული განყოფილების 21 ნოემბრის 1919 წ. დადგენილებისა, შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობის ნუსხაში, წესდება დიდების მომხმარებელ საზოგადოების „ერთობის ძალა“-ს დაარსებულის ს. დიდში. 038 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრატიული განყოფილების დადგენილებისა 21 ნოემბრის 1919 წ. შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, წესდება ბუველის მომხმ. საზოგ. „რაჭა“-ს დაარსებულის ს. ბუველში. 0309 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრაციული განყოფილების 24 ნოემბრის 1919 წ. დადგენილებისა, შეტანილია სარეგისტრაციო რეესტრში, წესდება დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის. 0310 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. 6 ნოემბრ. დადგენილებით სოხუმის ოლქ. იმ კოოპერატივთა და კავშირთა სიაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული, მე-10 №-ით შეტანილია წესდება „ფრანცუზსკი კლუბ“-ის დაარსებულის დავით მარიევის კონსტანტინე აგვერენისას და სხვ. მიერ. 0149 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. 6 ნოემბრის დადგენილებით, სოხ. ოლქ. იმ კოოპერატივთა და კავშირთა ნუსხაში, რომლითაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული, შეტანილია მე-9 № ით წესდება გაგრის საზოგადო სამკითხველო-ბიბლიოთეკა 1917 წლ. თებერვლის 27-ს სახსოვრად, დაარსებულის ნიკოლოზ ბეზსონოვის, გიორგი პალჩიკოვის, პეტრე კონდრატიევის და სხ. მიერ. 0148 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრაციული განყოფილების 24 ნოემბრის 1919 წ. დადგენილებით შეტანილია სარეგისტრაციო ნუსხაში, წესდება შუქრუთის საკრედიტო ამხანაგობის დაარსებულის ს. შუქრუთში. 266 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 19 ივანობისთვეს 1920 წ. ქ. სოხუმის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში, მე-25 ნაწილში № 1148, მე-16 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული სოხუმის ნოტარიუს მგალობლიშვილის მიერ სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვ. ნიკოლოზ და მიხეილ მიხეილის ძე ალხაზოვებმა შეიძინეს უძრავი ქონება მდებარე ქ. სოხუმში, ტრამვაის ქუჩა უბ. ლიტ. „ტ“ №3 რომელიც შეადგენს მიწის ნაჭერს, ზომით 74,49 ოთხკუთხ. საჟ. შენობებით. 855 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 14 ივლისს 1920 წ. სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში სოხუმის ოლქისა, 49 ნაწილში, № 2096. მე-184 გვერდზე აღნიშნულია აღმასრულებელი ფურცელი ოჩემჩირის უბნის მომრიგებელ მოსამართლის 24 ივანობისთვის 1920 წ. № 1115 მამულზე რომელიც შეიძინა ქ. ოჩემჩირის მცხოვრ. ანნა ბახვას ასულმა პაპასკირმა და რომელიც ეკუთვნოდა ბახვა კონტანის ძე ჩაჩიბაიას მდებარე ქ. ოჩემჩირეში სოხუმის და სომხეთის ქუჩ. კუთხეში შეადგენს მიწის ნაჭერს № 1 ზომით 360 ოთხკ. საჟ. შენობებით. 2397 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 14 ივლისს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში, 49 ნაწილში, № 2095, მე-181 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული ოჩემჩირის ნოტარიუსის გრიგოლიას მიერ მიცემითი სიგელი 1920 წ. ივლისის 9 დღეს № 7-ით, რომლითაც ქ. ოჩემჩირის მცხოვრ, ვლადიმერ ხალიბეის ძე მარშანიამ შეიძინა უძრავი ქონება კუთვნილი ქ. ოჩემჩირისა მდებარე ქ. ოჩემჩირეში, ტკვარბელის ქუჩაზე, უბ. № 28 რომელიც შეადგენს მიწის ნაჭერს შენობებით № 6. ზომით 180 ოთხკეთხ. საჟ. 2307 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 14 ივლისს 1920 წ. სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში სოხუმის ოლქისა მე 49 ნაწილში, № 2099, მე-193 გვერდზე აღნიშნულია აღმასრულებელი ფურცელი ოჩემჩირის უბნის მომრიგებელ მოსამართლის 24 ივანობისთვის 1920 წ. № 118 მამულზე, რომელიც შეიძინა მატრადორა ძვაძვალის ასულმა ჩაჩიბაიამ და რომელიც ეკუთვნოდა ბახვა კონტანის ძე ჩაჩიბაივს მდებარე ქ. ოჩემჩირეში, სოხუმის და ამბარნაია ქუჩების კუთხეში უბ.№ 55. შეადგენს მიწის ნაჭერს №-ით, ზომით 360 ოთხკ. საჟ. შენობებით . 2396 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 14 ივლისს 1920 წ. სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში სოხუმის ოლქისა მე-49 ნაწილში, № 2098, მე-190 გვერდზე აღნიშნულია აღმასრულებელი ფურცელი ოჩემჩირის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა 25 ივანობისთვისა 1920 წ. № 117. მამულზე, რომელიც შეიძინა ქ. ოჩემჩირე მცხოვრ. ელისაბედ ბახვას ასულმა ჩაჩიბაიამ და რომელიც ეკუთვნოდა ბახვა კონტანის ძე ჩაჩიბაიას მდებარე ქ. ოჩემჩირეში, ვოსკრესენსკაია და ამბარნაია ქუჩების კუთხეში უბ. № 55 შეადგენს მიწის ნაჭერს № 1-ით ზომით 360 ოთხკუთხ. საჟ. შენობებით. 2396 1—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილება აცხადებს,

რომ სამშაბათს 31 აგვისტოს, დილის 10 საათზე, სადგურ ქსანკაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 69 სული მსხვილფეხა საქონლის გასაყიდათ. განმეორებითი ვაჭრობა მოხდება იქვე 4 სექტემბერს.

პირობების გაგება შეიძლება საიჯარო განყოფილებაში ყოველ დღე 11 საათიდან 2 საათამდე. 856 1—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი